დეკემბერი 2023

საზოგადოების განწყობა საქართველოში

2023 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარებული პირისპირ გამოკითხვის შედეგები

ჩატარებულია NDI-ის დაკვეთით CRRC საქართველოს მიერ

კვლევა დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის კარგი მმართველობის ფონდის მიერ.

კვლევის მიზანი

- ➔ ხელი შეუწყოს საქართველოში მოქალაქეების საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკისა და მმართველობის განვითარებას;

- ➔ დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებს გამოავლინონ და გადაჭრან შემდეგ საკითხებთან დაკავშირებული ეროვნული დონის პრობლემები: ეკონომიკა, ჯანდაცვა, ინსტიტუტები, საგარეო პოლიტიკა, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და სხვა.

ოქტომბერი-ნოემბერი 2023

პირისპირი გამოკითხვა

- საველე სამუშაოების პერიოდი: 12 ოქტომბერი – 4 ნოემბერი, 2023
- 2,068 დასრულებული ინტერვიუ (28% გამოპასუხება)
- საშუალო ცდომილების ზღვარი +/- 2,2%
- შენიშვნა: ცდომილების ზღვარი იცვლება სხვადასხვა პასუხის მიხედვით;
- კვლევა ჩატარდა პირისპირი ინტერვიუს მეთოდით.

შენიშვნა: 2023 წლის მარტის, 2022 წლის მარტის, თებერვლის, 2021 წლის დეკემბრის, ივლისის, თებერვლის, 2020 წლის აგვისტოს და დეკემბრის გამოკითხვები ჩატარდა ტელეფონის საშუალებით.

შერჩევა

- წარმომადგენლობითი შერჩევა ქვეყნის მასშტაბით (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა). ამასთან, დამატებით წარმომადგენლობითი შერჩევა თბილისში, დიდ ურბანულ დასახლებებში, პატარა ურბანულ დასახლებებში, სოფლის ტიპის დასახლებებში, ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში;
- დიდი ზომის ურბანული დასახლებების სტრატა მოიცავს იმ ქალაქებს, რომელთა მოსახლეობა არის 40 ათასი და მეტი. ესენია: ბათუმი, ზუგდიდი, რუსთავი, ფოთი, გორი და ქუთაისი;
- მცირე ზომის ურბანული დასახლებების სტრატა მოიცავს ყველა დანარჩენ ქალაქსა და დაბას, რომელსაც აქვს ურბანული სტატუსი;
- ეთნიკური უმცირესობების სტრატა მოიცავს იმ დასახლებებს, სადაც ეთნიკური უმცირესობების (ძირითადად სომხური და აზერბაიჯანული) ხვედრითი წილი 40 პროცენტზე მეტია. ეს დასახლებები მდებარეობს ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში.

მეთოდოლოგია

- NDI და CRRC კვლევაში იყენებს სტრატიფიცირებული და კლასტერული შერჩევის მეთოდს:
- სტრატიფიცირება – მოსახლეობის დაყოფა შედარებით ჰომოგენურ ჯგუფებად
- კლასტერინგი – თითოეული ჯგუფიდან (სტრატა) პატარა გეოგრაფიული არეალების შემთხვევითი შერჩევა
- შინამეურნეობის შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით
- რესპონდენტების შერჩევა მოხდა კიშის ცხრილის გამოყენებით
- არ ხდება შემთხვევით შერჩეული შინამეურნეობის ან პიროვნების ჩანაცვლება
- ყველა ინტერვიუ ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით, 18+ ასაკის მოსახლეობასთან, სამიდან რომელიმე ენაზე: ქართული, სომხური და აზერბაიჯანული.

ხარისხის კონტროლი

- ყველა ინტერვიუერი გადის სპეციალურ ტრენინგს
- კოორდინატორები CRRC-ის ცენტრალური ოფისიდან აწარმოებენ ინტერვიუერების მუშაობის ხარისხის კონტროლს

ძირითადი მიგნებები

- ახალი კვლევის თანახმად, საქართველოს მოქალაქეები ერთსულოვნად უჭერენ მხარს ქვეყნის ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას. ახალი კვლევა, რომელიც ევროკომისიის 8 ნოემბერს გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებამდე ჩატარდა, ადასტურებს, რომ ევროინტეგრაცია საქართველოს მოსახლეობის ურყევი ნებაა – 79 პროცენტი მხარს უჭერს ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას.
- ბოლო ერთი წლის მანძილზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ევროკავშირს საქართველოს უმთავრეს ეკონომიკურ და პოლიტიკურ პარტნიორად აღიარებენ.
- სიღარიბე და ეკონომიკასთან დაკავშირებული პრობლემები დაუცველობის გრძნობის გამომწვევი მთავარი ფაქტორებია – აღნიშნული მიგნება სხვადასხვა პოლიტიკური სიმპათიის მიხედვით არ განსხვავდება. უმეტესობის შეფასებით, ქვეყანაში ჯანდაცვასთან, სიტყვის თავისუფლებასთან, ქალთა უფლებებთან და განათლებასთან დაკავშირებით წინსვლაა, თუმცა ყოველი მეორე მოქალაქე იმასაც ამბობს, რომ კრიმინალთან და სიღარიბესთან დაკავშირებით მდგომარეობა გაუარესებულია.
- ათიდან ერთი მოქალაქე ამბობს, რომ ოჯახს საკვებზე ფული არ ჰყოფნის, ხოლო ოთხში ერთი ადამიანის თქმით, ოჯახს შემოსავალი მხოლოდ საკვებზე ჰყოფნის და სხვა არაფერზე. ამ კუთხით კიდევ უფრო რთული მდგომარეობაა ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში, სადაც მოსახლეობის მეოთხედი ამბობს, რომ საჭმლის ფული არ აქვთ.

ძირითადი მიგნებები

- მოქალაქეები – განურჩევლად პოლიტიკური სიმპათიებისა – ემიგრაციის ნეგატიურ შედეგებზე წუხან. 16 პროცენტი ემიგრაციაში წასვლას გეგმავს, უმრავლესობა კი ამბობს, რომ პირადად იცნობს ვინმეს, ვინც ბოლო 12 თვის მანძილზე ემიგრაციაში წავიდა. მოსახლეობის აზრით, ემიგრაციას დაბალი ხელფასები და სამუშაო ადგილების ნაკლებობა იწვევს.
- რაც შეეხება უსახლკარო ცხოველებს, ნიშანდობლივ ძაღლებს, ეს საკითხი ადგილობრივი დონის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად იქცა. 2020 წლის შემდეგ უსახლკარო ცხოველებთან დაკავშირებული პრობლემის სიმწვავე საგრძნობლად არის გაზრდილი. ეს საკითხი მოსახლეობის უმრავლესობას (68 პროცენტი) აწუხებს, განსაკუთრებით თბილისსა და პატარა ქალაქებში.
- უმრავლესობის შეფასებით, დეპრესია და შფოთვითი აშლილობა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. თითქმის ყოველი მეორე მოქალაქე (41 პროცენტი) ამბობს, რომ არ იცის, ვის შეიძლება მიმართოს მენტალური ჯანმრთელობის სერვისის მისაღებად. აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერვისებსაც უნდა ფარავდეს.
- რაც შეეხება უსახლკარო ცხოველებს, ნიშანდობლივ ძაღლებს, ეს საკითხი ადგილობრივი დონის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად იქცა. 2020 წლის შემდეგ უსახლკარო ცხოველებთან დაკავშირებული პრობლემის სიმწვავე საგრძნობლად არის გაზრდილი. ეს საკითხი მოსახლეობის უმრავლესობას (68 პროცენტი) აწუხებს, განსაკუთრებით თბილისსა და პატარა ქალაქებში.

ძირითადი მიგნებები

- უმრავლესობის აზრით, განათლების დაბალი ხარისხი სისტემის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი გამოწვევაა, ხოლო ჯანდაცვის სისტემის პრობლემები, უპირველეს ყოვლისა, წამლებისა და სამედიცინო მომსახურების მაღალ საფასურს უკავშირდება.
- ახალი კვლევის თანახმად, მოსახლეობის პოლიტიკური პარტიებით იმედგაცრუება გრძელდება – 62 პროცენტმა განაცხადა, რომ მათ ინტერესებს არცერთი პოლიტიკური პარტია არ ემსახურება. მონაცემების პარტიული მხარდაჭერის ჭრილში ანალიზი აჩვენებს, რომ ამ განწყობას "ქართული ოცნების" ყოველი მეხუთე, ოპოზიციური პარტიების ყოველი მეორე, ხოლო გადაუწყვეტელი ამომრჩევლების უმრავლესობა იზიარებს.
- უმრავლესობა (53 პროცენტი) მიიჩნევს, რომ პარლამენტის წევრები მათნაირი ადამიანების შეხედულებებს არ ითვალისწინებენ.

თავი I

- ➔ ქვეყნის მიმართულება
- ➔ დემოკრატია
- ➔ უსაფრთხოების განცდა

მოსახლეობის აზრი გაყოფილია იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიმართულებით ვითარდება ქვეყანა; თუმცა დადებითი შეფასების მაჩვენებელი ოდნავ გაზრდილია

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ საერთო ჯამში როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო. თქვენ რომელს ეთანხმებით? (q2)



ქვეყნის მიმართულებასთან დაკავშირებით ყველაზე კრიტიკულად თბილისის მცხოვრებლები, ოპოზიციის მხარდამჭერები და ქალები არიან განწყობილნი.

2022 წელთან შედარებით, მეტი ადამიანი ფიქრობს, რომ საქართველო დემოკრატიაა



სხვებთან შედარებით, თბილისის მცხოვრებლები, ოპოზიციის მხარდამჭერები და გადაუწყვეტელი ამომრჩევლები უფრო მეტად ფიქრობენ, რომ საქართველო არ არის დემოკრატია

თქვენი აზრით, საქართველოში ამჟამად არის დემოკრატია? (q3 X დასახლების, ასაკის, სქესის, პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



ქართული ოცნების მხარდამჭერთა მეოთხედი ამბობს, რომ ქვეყანა დემოკრატიული არ არის ან არ აქვს ამ კითხვაზე პასუხი.

ოპოზიციის მხარდამჭერთა მესამედი მიიჩნევს, რომ საქართველო დემოკრატიულია.

უმრავლესობა ამბობს, რომ საქართველოში თავს დაცულად გრძნობს



თავს ყველაზე ნაკლებად დაცულად დიდი ქალაქების მცხოვრებლები, ქალები, 18-34 წლის ადამიანები და ოპოზიციის მხარდამჭერები გრძნობენ.

მოქალაქეები თავს დაუცველად, ძირითადად, სიღარიბისა და ეკონომიკური საკითხების გამო გრძნობენ

რა არის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც საქართველოში თავს დაუცველად გრძნობთ? მაქსიმუმ სამი პასუხი. ღია კითხვა (q5) – მათგან ვინც თქვა, რომ საქართველოში თავს დაუცველად გრძნობს. ნაწილი 1



ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში თავს დაუცველად სიღარიბისა და უმუშევრობის გამო გრძნობენ

რა არის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც საქართველოში თავს დაუცველად გრძნობთ? მაქსიმუმ სამი პასუხი. ღია კითხვა (q5 X დასახლების მიხედვით) – 30%-დან ვინც თქვა, რომ საქართველოში თავს დაუცველად გრძნობს. ნაწილი 1



მათგან, ვინც თავს დაუცველად გრძნობს, თბილისის მოსახლეობა (სხვებზე ხშირად) მიზეზად კრიმინალს ასახელებს, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებების მცხოვრებლები შიდა პოლიტიკურ არასტაბილურობასა და რუსულ საფრთხეს.

მათგან, ვინც დაუცველად გრძნობს თავს, ახალგაზრდები უფრო მეტად კრიმინალსა და პოლიტიკურ არასტაბილურობას ასახელებენ

რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც საქართველოში თავს დაუცველად გრძნობთ? მაქსიმუმ სამი პასუხი. ღია კითხვა (q5 X ასაკის მიხედვით) – 30%-დან, ვინც თქვა, რომ საქართველოში თავს დაუცველად გრძნობს. ნაწილი 1



მათგან, ვინც თავს დაუცველად გრძნობს, ქალები ამის მიზეზად უფრო მეტად ასახელებენ სიღარიბეს, კრიმინალსა და წამლებზე მაღალ ფასებს

რა არის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც საქართველოში თავს დაუცველად გრძნობთ? მაქსიმუმ სამი პასუხი. ღია კითხვა (q5 X სქესის მიხედვით) – 30%-დან ვინც თქვა, რომ საქართველოში თავს დაუცველად გრძნობს. ნაწილი 1



მათგან, ვინც დაუცველად გრძნობენ თავს, განურჩევლად პოლიტიკური სიმპათიებისა, მთავარ მიზეზად სიღარიბეს ასახელებენ

რა არის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც საქართველოში თავს დაუცველად გრძნობთ? გთხოვთ, დაასახელოთ მაქსიმუმ სამი პასუხი. ღია კითხვა (q5 X რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს) – 30%-დან, ვინც თქვა, რომ საქართველოში თავს დაუცველად გრძნობს. ნაწილი 1



სხვებთან შედარებით, ქართული ოცნების მხარდამჭერები მეტად ასახელებენ ინფლაციას, წამლების მაღალ საფასურს, განათლების დაბალ დონესა და ჯანდაცვის პრობლემებს.

ხოლო, ოპოზიციის მხარდამჭერები ამბობენ, რომ მიზეზი, რის გამოც ქვეყანაში თავს დაუცველად გრძნობენ არის კრიმინალი, პოლიტიკური არასტაბილურობა და რუსეთის ქმედებები საქართველოს მიმართ.

უმრავლესობა ფიქრობს, რომ საჯარო სივრცეებში მათი და მათი შვილების უსაფრთხოება დაცულია

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (q6)



თუმცა, მოსახლეობის მეოთხედი ამბობს, რომ არ იცის, როგორ მოიქცეს საგანგებო სიტუაციების დროს და როგორ გასწიოს პირველადი დახმარება. ამ საკითხებთან დაკავშირებით კაცები ოდნავ მეტი თავდაჯერებულობით გამოირჩევიან, ვიდრე ქალები.

ქართული ოცნების მხარდამჭერებთან შედარებით, ოპოზიციის მხარდამჭერები და გადაუწყვეტელი ამომრჩევლები ნაკლებად უსაფრთხოდ გრძნობენ თავს.

თბილისისა და დიდი ქალაქების მცხოვრებლები ოდნავ ნაკლებად დაცულად გრძნობენ თავს

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (q6 X დასახლების მიხედვით) ნაწილი 1



უმეტესობა საქართველოს მომავალს ოპტიმისტურად უყურებს

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: ჩემი ქვეყნის მომავლის მიმართ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი (q1)



სხვებთან შედარებით, პატარა ქალაქების მოსახლეობა, 35+ ასაკობრივი ჯგუფი და ქართული ოცნების მხარდამჭერები მეტი ოპტიმიზმით გამოირჩევიან.

თავი II

→ ეროვნული დონის გამოწვევები და პრიორიტეტები

ფასების ზრდა, დასაქმება და სიღარიბე კვლავ ყველაზე დიდ გამოწვევებად რჩება

ჩამოთვლილთაგან რომელი ეროვნული საკითხებია თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? მაქსიმუმ სამი პასუხი. (q15)



ფასების ზრდა, დასაქმება და სიღარიბე კვლავ ყველაზე დიდ გამოწვევებად რჩება

ბარათზე ჩამოთვლილთაგან რომელი ეროვნული საკითხებია თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? მაქსიმუმ სამი პასუხი. (q15)



ფასების ზრდა, დასაქმება და სიღარიბე კვლავ ყველაზე დიდ გამოწვევებად რჩება

რომელი ეროვნული საკითხებია თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? არაუმეტეს სამი პასუხი. (q15)



უმეტესობის აზრით, შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით ქვეყანაში უკეთესი მდგომარეობაა: ჯანდაცვა, სიტყვის თავისუფლება, ქალთა უფლებები და განათლება

ბოლო 10 წლის განმავლობაში როგორ შეიცვალა მდგომარეობა საქართველოში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით? გაუარესდა, არ შეცვლილა თუ გაუმჯობესდა? (q14)



ყოველი მეორე მოქალაქე მიიჩნევს, რომ კრიმინალთან და სიღარიბესთან დაკავშირებით მდგომარეობა გაუარესებულია.

ოპოზიციის მხარდამჭერთა და გადაუწყვეტელთა უმრავლესობა, ასევე ქართული ოცნების მხარდამჭერთა მეოთხედი მიიჩნევს, რომ კრიმინალთან დაკავშირებით მდგომარეობა გაუარესებულია.

გასულ წელთან შედარებით, მეტი ადამიანი მიიჩნევს, რომ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით მდგომარეობა გაუმჯობესდა

გთხოვთ, მითხრათ, ბოლო 10 წლის განმავლობაში როგორ შეიცვალა მდგომარეობა საქართველოში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით? გაუარესდა, არ შეცვლილა თუ გაუმჯობესდა? (q14)

% ისინი, ვინც ამბობენ, რომ სიტუაცია გაუმჯობესდა



უმეტესობის აზრით, განათლების დაბალი ხარისხი სისტემის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი გამოწვევაა

რა არის ამჟამად საქართველოში განათლების სისტემის წინაშე მდგარი სამი ყველაზე დიდი პრობლემა? მაქსიმუმ სამი პასუხი. (q16)

დასახლების სხვა ტიპებთან შედარებით, თბილისელები განათლების სისტემის წინაშე არსებულ პრობლემებს უფრო კრიტიკულად აფასებენ.

შეინიშნება მცირედი სხვაობა ქალებსა და კაცებს შორის: განათლების საფასურს მეტი ქალი ასახელებს პრობლემად.

უმრავლესობის აზრით, წამლებისა და სამედიცინო მომსახურების საფასური ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი პრობლემებია

თქვენი აზრით, რა არის ამჟამად ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი პრობლემა? მაქსიმუმ სამი პასუხი. (q17)



წამლების საფასური და ხარისხი პატარა ქალაქების მოსახლეობას შედარებით მეტად აწუხებთ.

წამლებისა და სამედიცინო მომსახურების საფასური ყველაზე დიდ გამოწვევად 2020 წლის შემდეგ სახელდება

თქვენი აზრით, რა არის ამჟამად ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი პრობლემა? მაქსიმუმ სამი პასუხი. (q17)



უმრავლესობის აზრით, დეპრესია და შფოთვითი აშლილობა მოსახლეობისთვის პრობლემას წარმოადგენს

თქვენი აზრით, რამდენად პრობლემატურია, თუ საერთოდ არის პრობლემატური, ჩვენს საზოგადოებაში ისეთი მენტალური (ფსიქიკური) ჯანმრთელობის დარღვევები, როგორიცაა დეპრესია და შფოთვითი აშლილობა? (q45)



მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილს უფიქრია ფსიქოლოგისთვის ან ფსიქიატრისთვის მიემართა

ბოლო 12 თვეზე რომ დაფიქრდეთ, თქვენ ან თქვენს ახლობელ ადამიანს გიფიქრიათ თუ არა მიგემართათ ფსიქოლოგის ან ფსიქიატრისათვის? (q47)



იმ 12 პროცენტიდან, ვისაც უფიქრია სპეციალისტისთვის მიემართა, ნახევარი ასეც მოიქცა. ხოლო მათ, ვინც არ მიმართეს, შემდეგი მიზეზები დაასახელეს: არ ჰქონდათ შესაბამისი ფინანსები, ან არ ჰქონდათ ამის საჭიროება.

თითქმის ყოველი მეორე მოქალაქე ამბობს, რომ არ იცის ვის მიმართოს, თუკი მათ ან მათი ოჯახის წევრს ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით დახმარება დასჭირდებათ

თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრს რომ მენტალური/ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით დახმარება დასჭირდეს, იცით თუ არა ვის შეიძლება მიმართოთ/ სად წახვიდეთ? (q50)



უმრავლესობის აზრით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ხარჯებსაც უნდა ფარავდეს

თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ან არ არის მნიშვნელოვანი, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ფარავდეს მენტალურ/ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერვისებს, როგორიცაა ექიმის კონსულტაცია, წამლები, ჰოსპიტალიზაცია? (q53)



თავი III

→ ეკონომიკის მდგომარეობა, სამუშაო ადგილები, ცხოვრების დონე

უმეტესობა ეკონომიკის მდგომარეობას ‘საშუალოდ’ აფასებს

ეკონომიკის მდგომარეობას ყველაზე კრიტიკულად თბილისის და პატარა ქალაქი მცხოვრებლები, ქალები, ოპოზიციის მხარდამჭერები და გადაუწყვეტლები აფასებენ.

ამ ბარათის გამოყენებით, გთხოვთ, შეაფასოთ საქართველოს ეკონომიკის ამჟამინდელი მდგომარეობა.(q25)



უმუშევრობა, დაბალ ხელფასებთან და ინფლაციასთან ერთად, მთავარი ეკონომიკური გამოწვევაა

თქვენი აზრით, რა არის ამჟამად საქართველოს ეკონომიკის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი პრობლემა? მაქსიმუმ სამი პასუხი. (q26)



სხვა ჯგუფებთან შედარებით, უმუშევრობა ყველაზე ნაკლებად პრობლემური თბილისის მცხოვრებლებისა და ქართული ოცნების მხარდამჭერებისთვისაა;

თუმცა, თბილისის მოსახლეობა და ქალები სხვებთან შედარებით უფრო მეტად ღელავენ დაბალ ხელფასებზე.

ბოლო ორი წლის მანძილზე, დაბალი ხელფასები რიგით მეორე ყველაზე დიდ პრობლემად იქცა

თქვენი აზრით, რა არის ამჟამად საქართველოს ეკონომიკის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი პრობლემა? მაქსიმუმ სამი პასუხი. (q26)



მოსახლეობის უმეტესობა ამბობს, რომ დასაქმებულია

ამ ჩამონათვალიდან, რა უფრო შეესაბამება თქვენს მდგომარეობას? გთხოვთ, შეარჩიეთ ის საქმიანობა, რომელიც თქვენთვის ძირითადია. (q57)



თბილისის მოსახლეობა, 35-54 ასაკობრივი ჯგუფი და კაცები უფრო მეტად ამბობენ, რომ დასაქმებულები არიან.

მათი თითქმის ნახევარი, ვინც ამბობს, რომ უმუშევარია, სამსახურს ან საერთოდ ვერ პოულობს, ან ვერ შოულობს სამუშაოს შესაბამისი ანაზღაურებით

ამ ჩამონათვალიდან, რა უფრო შეესაბამება თქვენს მდგომარეობას? (q58) – 15%-დან ვინც თქვა, რომ უმუშევარია



ოთხი წლის წინანდელთან შედარებით, ახლა მეტი მოქალაქე ამბობს, რომ მათი ოჯახი მეტ ფულს გამოიმუშავებს

გასულ თვეში თქვენი ოჯახის ფულად შემოსავალზე თუ ვისაუბრებთ, დაქვითვის შემდეგ, ამ ბარათზე მოყვანილ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება თქვენი ოჯახის (შინამეურნეობის) შემოსავალი? გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყველა წყარო, რაც თქვენი ოჯახის ყველა წევრს ჰქონდა გასულ თვეში. (q59)



მეტი შემოსავლის მიუხედავად, უმრავლესობას ხუთი წლის წინანდელთან შედარებით იგივე ან ნაკლები ფინანსური შესაძლებლობები აქვთ

თქვენს ამჟამინდელ მდგომარეობაზე თუ დაფიქრდებით, 5 წლის წინანდელთან შედარებით, ახლა უფრო მეტი, იგივე თუ ნაკლები ფინანსური შესაძლებლობები გაქვთ? (q28)



უმრავლესობის თქმით, მათი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია

ყველაფრის გათვალისწინებით, როგორ შეაფასებთ თქვენი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას? (q29)



ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში ყოველი მეორე მოქალაქე ამბობს, რომ მათი ოჯახი ცუდ ეკონომიკურ მდგომარეობაშია.

ათიდან ერთ მოქალაქეს საკვების ფული არ აქვს, ხოლო ოთხიდან ერთს ფული მხოლოდ საკვებზე ჰყოფნის

ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში ოთხიდან ერთ მოქალაქეს საკვების ყიდვისთვის საკმარისი ფული არ აქვს.

სხვებთან შედარებით, თბილისის მოსახლეობას ყველაზე მეტად შეუძლია საკვების, ტანსაცმლისა და უფრო ძვირადღირებული ნივთების შეძენა.

ამ ბარათზე ჩამოთვლილთაგან, რა უფრო კარგად აღწერს თქვენი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას? (q30)



უმეტესობა ამბობს, რომ კომფორტულად ცხოვრებისთვის თვეში 3000 ლარზე მეტი სჭირდება

თვეში რამდენი ლარი იქნებოდა საკმარისი თქვენი ოჯახისთვის, რომ კომფორტულად იცხოვროთ? ღია კითხვა. (q31)

თბილისში მცხოვრებლები ყველაზე ხშირად ამბობენ, რომ 4000 ლარზე მეტი სჭირდებათ, ხოლო სოფლებისა და ეთნიკური უმცირესობების დასახლებაში მცხოვრებთა უმეტესობის თქმით, კომფორტული ცხოვრებისთვის თვეში 2000 ლარის შემოსავალი ეყოფოდათ.

უმრავლესობას ეჭვი ეპარება, რომ მთავრობა ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას შეძლებს – მარტის შემდეგ ეს მაჩვენებელი გაზრდილია

რამდენად დარწმუნებული ხართ ან არ ხართ დარწმუნებული, რომ საქართველოს მთავრობა შეძლებს ეკონომიკურ პრობლემებთან გამკლავებას? (q27)



თბილისის მცხოვრებლები, ახალგაზრდები, ოპოზიციის მხარდამჭერები და გადაუწყვეტლები ამ საკითხის მიმართ ყველაზე სკეპტიკურად არიან განწყობილნი.

თავი IV

→ ემიგრაცია

დაახლოებით ათიდან ერთ მოქალაქეს ჰყავს ოჯახის წევრი, რომელიც უცხოეთში ცხოვრობს და ფულს უგზავნის

გყავთ თუ არა ოჯახის წევრი რომელიც ამჟამად საზღვარგარეთ მუშაობს და რეგულარულად უგზავნის ფულს თქვენს ოჯახს? (q32)



დაახლოებით ათიდან ერთი მოქალაქე ემიგრაციაზე ფიქრობს

რამდენად მოსალოდნელია ან არ არის მოსალოდნელი, რომ მომდევნო 12 თვის განმავლობაში თქვენ სამუშაოდ საზღვარგარეთ წახვალთ? (q21)



ემიგრაციის სურვილი ყველაზე მაღალი ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში, ახალგაზრდებში, კაცებში, ოპოზიციის მხარდამჭერებსა და გადაუწყვეტელ ამომრჩეველშია.

უმრავლესობა ამბობს, რომ პირადად იცნობს ისეთ ადამიანს, ვინც ბოლო 12 თვის განმავლობაში ემიგრაციაში წავიდა

პირადად იცნობთ თუ არა ვინმეს, ვინც ბოლო 12 თვის განმავლობაში საზღვარგარეთ საცხოვრებლად წავიდა? (q22)

უმრავლესობის თქმით, ემიგრაციის მთავარი მიზეზი დაბალი ხელფასები და სამუშაო ადგილების ნაკლებობაა

ყველაფრის გათვალისწინებით, თქვენი აზრით, რა არის ძირითადი მიზეზები, რის გამოც საქართველოს მოქალაქეები საზღვარგარეთ საცხოვრებლად მიდიან? მაქსიმუმ სამი პასუხი. (q23)



უმრავლესობა ამობს, რომ ემიგრაციას საქართველოზე უარყოფითი გავლენა აქვს

ზოგადად, თქვენი აზრით, ქართველების საზღვარგარეთ საცხოვრებლად წასვლას დადებითი გავლენა აქვს ჩვენს ქვეყანაზე თუ უარყოფითი? (q24)



თავი V

→ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები და პრიორიტეტები

უსახლკარო ცხოველები და გზები ადგილობრივი დონის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევებია

რა არის კეთილმოწყობასთან/ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სამი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც თქვენს ქალაქს/სოფელს აწუხებს? მაქსიმუმ სამი პასუხი. (q19)



უსახლკარო ცხოველების პრობლემა განსაკუთრებით თბილისისა და პატარა ქალაქების მოსახლეობას, ასევე ქართული ოცნების მხარდამჭერებსა და ქალებს აწუხებთ.

სხვა ტიპის დასახლებებთან შედარებით, თბილისს მეტად აწუხებს საგზაო მოძრაობა, ჰაერის დაბინძურება და საზ. ტრანსპორტი.

2020 წლის მერე, უსახლკარო ცხოველების პრობლემის მნიშვნელობა გასაკუთრებით არის გაზრდილი

რა არის კეთილმოწყობასთან/ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სამი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც თქვენს ქალაქს/სოფელს აწუხებს? მაქსიმუმ სამი პასუხი. (q19)



უსახლკარო ცხოველები და გზები ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილობრივი დონის საკითხებია

რა არის კეთილმოწყობასთან/ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სამი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც თქვენს ქალაქს/სოფელს აწუხებს? (q19)



უმრავლესობა უსახლკარო ძაღლების თემით არის შეწუხებული

თქვენს დასახლებულ პუნქტზე რომ ვისაუბროთ, რამდენად გაწუხებთ ან არ გაწუხებთ ქუჩის/უპატრონო ძაღლების არსებობა? (q20)



ეს პრობლემა ყველა დემოგრაფიულ ჯგუფს აწუხებს - განსაკუთრებით თბილისსა და პატარა ქალაქებში. პრობლემა ასევე აქტუალურია ქალებისთვის.

მნიშვნელოვნად არის გაზრდილი იმ ადამიანების რიცხვი, რომელთაც უსახლკარო ძაღლების თემა აწუხებთ

თქვენს დასახლებულ პუნქტზე რომ ვისაუბროთ, რამდენად გაწუხებთ ან არ გაწუხებთ ქუჩის/უპატრონო ძაღლების არსებობა? (q20)

% ისინი, ვინც ამბობს, რომ ძალიან აწუხებთ/აწუხებთ



ჰაერის დაბინძურება და საკვების უსაფრთხოება გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ყველაზე დიდი გამოწვევებია

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხებიდან, რომელია ყველაზე მწვავე თქვენს ქალაქში/სოფელში/დასახლებაში? მაქსიმუმ სამი პასუხი. (q18)



ჰაერის დაბინძურება განსაკუთრებით თბილისში და სხვა დიდ ქალაქებში აწუხებთ. კაცებთან შედარებით, ქალები მეტად წუხან ჰაერის და წყლის დაბინძურებაზე, ასევე საკვების უსაფრთხოებაზე.

თავი VI

→ ინსტიტუტებისა და პოლიტიკური ლიდერების შეფასება

მთავრობის საქმიანობის დადებითი შეფასება 10 პროცენტითაა გაზრდილი



მთავრობის შეფასება ყველაზე მაღალი მცირე ტიპის დასახლებებშია

გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით არსებული მთავრობის საქმიანობას? (q7 X დასახლების, ასაკის, სქესის, პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



ოპოზიციის მხარდამჭერთა მესამედი და გადაუწყვეტელი ამომრჩევლების ნახევარი მთავრობის საქმიანობას დადებითად აფასებს.

მთავრობის საქმიანობის დადებითმა შეფასებამ ყველაზე მეტად სოფლებში, ახალგაზრდებსა და გადაუწყვეტლებში მოიმატა

გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით არსებული მთავრობის საქმიანობას? (q7)

% მათგან, ვინც ძალიან კარგად ან კარგად აფასებს მთავრობის საქმიანობას



უმრავლესობა პრემიერის საქმიანობას საშუალოდ ან კარგად აფასებს

გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით პრემიერ-მინისტრის საქმიანობას? (q8_3)



თბილისელები, ახალგაზრდები და ოპოზიციის მხარდამჭერები პრემიერს ოდნავ უფრო კრიტიკულად აფასებენ

გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობას? (q8_3 X დასახლების, ასაკის, სქესის, პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



ოპოზიციის ამომრჩევლების თითქმის ნახევარი და გადაუწყვეტლების უმრავლესობა პრემიერის საქმიანობას საშუალოდ ან კარგად აფასებს.

უმრავლესობა პრეზიდენტის საქმიანობას საშუალოდ ან კარგად აფასებს

გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით პრეზიდენტის საქმიანობას? (q8_2)



პრეზიდენტის საქმიანობის შეფასება მსგავსია სხვადასხვა ჯგუფს შორის.

თუმცა, სალომე ზურაბიშვილის საქმიანობას კაცები უფრო კრიტიკულად აფასებენ, ვიდრე ქალები.

გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის საქმიანობას? (q8_2 X დასახლების, ასაკის, სქესის, პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



უმრავლესობა პარლამენტის საქმიანობას საშუალოდ ან კარგად აფასებს

გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით პარლამენტის საქმიანობას? (q8_1)



თბილისელები, ახალგაზრდები, კაცები, ოპოზიციის მხარდამჭერები პარლამენტს შედარებით უფრო კრიტიკულად აფასებენ

გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით პარლამენტის საქმიანობას? (q8_1 X დასახლების, ასაკის, სქესის, პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



ოპოზიციის თითქმის ნახევარი და გადაუწყვეტელთა უმრავლესობა პარლამენტის საქმიანობას კარგად ან საშუალოდ აფასებს.

უმრავლესობის აზრით, პარლამენტარები მათნაირი ადამიანების შეხედულებებს არ ითვალისწინებენ

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ პარლამენტის წევრები ითვალისწინებენ თქვენნაირი ადამიანების შეხედულებებს? (q11)



თბილისის მცხოვრებლები, ახალგაზრდები, ოპოზიციის მხარდამჭერები და გადაუწყვეტლები პარლამენტარების მიმართ შედარებით უფრო კრიტიკულად არიან განწყობილნი.

პარლამენტარებთან ურთიერთობისთვის, უმრავლესობას საჯარო შეხვედრები ურჩევნია

რა იქნებოდა საუკეთესო ფორმა პარლამენტის წევრისთვის თქვენთან დასაკავშირებლად? (q12)



უმეტესობას არ სჯერა, რომ პარლამენტართან შეხვედრის დანიშნას მოახერხებდა

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: რომ გინდოდეთ, ადვილად შეძლებდით პარლამენტის წევრთან შეხვედრის დანიშვნას. (q13)



პარლამენტის წევრთან შეხვედრის დანიშვნის შესაძლებლობას ყველაზე სკეპტიკურად თბილისის მოსახლეობა, ახალგაზრდები, ოპოზიციის მხარდამჭერები და გადაუწყვეტელი ამომრჩევლები უყურებენ.

უმრავლესობა ამბობს, რომ მათ ინტერესებს არცერთი პარტია არ ემსახურება



რწმენა, რომ მათ ინტერესებს ერთი პოლიტიკური პარტია მაინც გამოხატავს, შედარებით მაღალია დიდ ქალაქებში, 55+ ასაკობრივ ჯგუფსა და ქართული ოცნების მხარდამჭერებში

ქართული ოცნების ყოველი მეხუთე მხარდამჭერი, თითქმის ყოველი მეორე ოპოზიციის მხარდამჭერი და გადაუწყვეტელ ამომრჩეველთა უმრავლესობა ამბობს, რომ არ არსებობს ერთი პარტია მაინც, რომელიც მათ ინტერესებს გამოხატავს.

თქვენი აზრით, არსებობს თუ არა საქართველოში ერთი პარტია მაინც, რომელიც თქვენს ინტერესებს გამოხატავს? (q9 X დასახლების, ასაკის, სქესის, პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



უმრავლესობა პოლიტიკურად გადაუწყვეტელია

საქართველოში მრავალი პოლიტიკური პარტია არსებობს. რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (q10)



მოსახლეობის უმეტესობამ არ იცის ან არ ასახელებს იმ პარტიას, რომელიც მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს დგას. პარტიების მხარდაჭერის ინდივიდუალური მაჩვენებლები იმდენად დაბალია, რომ არჩევნების შედეგების გამოსაცნობად ვერ გამოდგება.

შენიშვნა – კითხვა დაისვა თვით-ადმინისტრირების მეთოდით: რესპონდენტს გადაეცა პლანშეტი 14 პარტიის ჩამონათვალით, რესპონდენტმა თავად მონიშნა სასურველი პოლიტიკური პარტია, შემდეგ დააჭირა ღილაკს 'შემდეგი' და დაუბრუნა ტაბლეტი ინტერვიუერს.

უმცირესობათა დასახლებებში მოსახლეობის უმეტესობა უარს ამბობს უპასუხოს პარტიების შესახებ კითხვას

საქართველოში მრავალი პოლიტიკური პარტია არსებობს. რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (q10 X დასახლების მიხედვით)



ოპოზიციურ პარტიებს (გარდა ნაციონალური მოძრაობისა) თბილისში ოდნავ უფრო მაღალი მხარდაჭერა აქვთ.

ქართული ოცნების მხარდაჭერა ახალგაზრდებში შედარებით დაბალია

საქართველოში მრავალი პოლიტიკური პარტია არსებობს. რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (q10 X ასაკის მიხედვით)



მეტი მოქალაქე ფიქრობს, რომ ქალი და კაცი პოლიტიკოსები მათ ინტერესებს თანაბრად წარმოადგენენ

გთხოვთ მითხრათ, ჩამოთვლილთაგან რომელ მოსაზრებას ეთანხმებით? (q44)



არ არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ რა წარმოადგენს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისთვის ყველაზე დიდ დაბრკოლებას – უმეტესობა შემდეგ ფაქტორებს ასახელებს: ოჯახური ვალდებულებები, თავდაჯერებულობისა და ინტერესის ნაკლებობა

რა არის ყველაზე დიდი დაბრკოლება საქართველოში ქალებისთვის პოლიტიკაში ჩასართავად? მაქსიმუმ სამი პასუხი. (q43)



თავი VII

→ ეროვნული უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა

მცირდება მათი რიცხვი, ვინც ამბობს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა ექსკლუზიურად პროდასავლური უნდა იყოს



ექსკლუზიურად პროდასავლური საგარეო კურსის მხარდაჭერა ყველაზე მაღალი თბილისის მცხოვრებლებსა და ახალგაზრდებშია, ხოლო ყველაზე დაბალი - ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში.

ქართული ოცნების მხარდამჭერთა უმეტესობა ამბობს, რომ საგარეო პოლიტიკა პროდასავლური უნდა იყოს, თუმცა რუსეთთან კარგი ურთიერთობაც უნდა შევინარჩუნოთ. ამ მოსაზრებას ოპოზიციის მხარდამჭერების თითქმის 40 პროცენტი იზიარებს

ექსკლუზიურად პროდასავლურ კურსს ყველაზე მეტად ოპოზიციის მხარდამჭერები ემხრობიან.

თქვენი აზრით, საქართველოს საგარეო პოლიტიკა უნდა იყოს ... (q40 X რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს)



მოსახლეობის აზრით, რუსული სამხედრო აგრესია და პროპაგანდა ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს

თქვენი აზრით, რა წარმოადგენს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს? (q33)



ყოველი მეორე მოქალაქე ამბობს, რომ ქვეყანას უსაფრთხოების გაძლიერებაში ყველაზე მეტად ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება დაეხმარება

თქვენი აზრით, ჩამოთვლილთაგან, რომელი დაეხმარება ყველაზე მეტად საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერებაში? (q34)



უმრავლესობის აზრით, ევროკავშირი და აშშ საქართველოს მთავარი პოლიტიკური პარტნიორები უნდა იყვნენ

რომელ ქვეყნებთან ან გაერთიანებებთან უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა? არაუმეტეს სამი პასუხისა. ღია კითხვა (q35)



ევროკავშირთან პარტნიორობას ყველაზე მაღალი მხარდაჭერა თბილისში აქვს, ხოლო ყველაზე დაბალი ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში.

ეთნიკური უმცირესობები უფრო მეტად უჭერენ მხარს მჭიდრო პოლიტიკურ თანამშრომლობას რუსეთთან, თურქეთთან და აზერბაიჯანთან.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ევროკავშირთან პოლიტიკური თანამშრომლობის სურვილი მნიშვნელოვნად გაიზარდა

რომელ ქვეყნებთან ან გაერთიანებებთან უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა? არაუმეტეს სამი პასუხისა. ღია კითხვა (q35)



ქართული ოცნების ყოველი მესამე და ოპოზიციის ყოველი მეხუთე მხარდამჭერი რუსეთთან ახლო პოლიტიკურ თანამშრომლობას ემხრობა

რომელ ქვეყნებთან ან გაერთიანებებთან უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა? გთხოვთ, დაასახელოთ არა უმეტეს სამი პასუხისა. ღია კითხვა. (q35 X რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს) ნაწილი 1



ევროკავშირთან და აშშ-თან თანამშრომლობის სურვილი ოპოზიციის მხარდამჭერებში შედარებით მაღალია.

უმრავლესობის აზრით, ევროკავშირი და აშშ საქართველოს უახლოესი ეკონომიკური პარტნიორები უნდა იყვნენ

ევროკავშირთან ეკონომიკურ პარტნიორობას ყველაზე დიდი მხარდაჭერა თბილისში, ხოლო ყველაზე დაბალი - ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში აქვს.

ეთნიკური უმცირესობები უფრო მეტად უჭერენ მხარს ახლო ეკონომიკურ თანამშრომლობას რუსეთთან, თურქეთთან და აზერბაიჯანთან.

რომელ ქვეყნებთან ან გაერთიანებებთან უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველაზე მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა? არაუმეტეს სამი პასუხისა. ღია კითხვა (q36)



2022 წლის მერე, ევროკავშირთან ეკონომიკური თანამშრომლობის სურვილი მნიშვნელოვნად გაიზარდა

რომელ ქვეყნებთან ან გაერთიანებებთან უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველაზე მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა? არაუმეტეს სამი პასუხისა. ღია კითხვა (q36)



ქართული ოცნების ყოველი მესამე და ოპოზიციის ყოველი მეხუთე მხარდამჭერი რუსეთთან ახლო ეკონომიკურ თანამშრომლობას ემხრობა

რომელ ქვეყნებთან ან გაერთიანებებთან უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველაზე მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა? გთხოვთ, დაასახელოთ არა უმეტეს სამი პასუხისა. ღია კითხვა. (q36 X რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს) ნაწილი 1



ევროკავშირთან და აშშ-თან თანამშრომლობის სურვილი ოპოზიციის მხარდამჭერებს შორის შედარებით მაღალია.

ევროკავშირი და აშშ ყველაზე სასურველი ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორები არიან

რომელ ქვეყნებთან ან გაერთიანებებთან უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური/ეკონომიკური თანამშრომლობა? არაუმეტეს სამი პასუხისა. ღია კითხვა. (q35, q36) ნაწილი 1



ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს მოსახლეობის ურყევი ნებაა

მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი? (q37)



ევროკავშირის მხარდაჭერა ყველაზე მაღალი დიდი ქალაქების მოსახლეობასა და ახალგაზრდებს შორისაა, ყველაზე დაბალი კი - ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში.

მოსახლეობის აზრი გაყოფილია იმასთან დაკავშირებით, თუ რა ძალისხმევას დებს მთავრობა ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებისთვის

ამ ბარათზე მოყვანილი მოსაზრებებიდან, რომელია თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (q38)



ქართული ოცნების მხარდამჭერებსა და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას ყველაზე მეტად სჯერათ, რომ მთავრობა ყველაფერს აკეთებს საქართველოს ევროკავშირში გასაწევრიანებლად.

მცირედი ვარდნის მიუხედავად, ნატოს მხარდაჭერა კვლავ მაღალია

მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ნატოს წევრი? (q39)



ნატოს მხარდაჭერა ყველაზე მაღალი ქალაქის მოსახლეობაში, ახალგაზრდებსა და ოპოზიციის მხარდამჭერებს შორისაა.

ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერა ყველაზე მეტად ახალგაზრდებსა და ოპოზიციის მხარდამჭერებში შემცირდა

მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ნატო-ს წევრი? (q39)

% მათგან, ვისთვისაც მისაღებია ნატო-ში გაწევრიანება



უმრავლესობას სჯერა, რომ საქართველო ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციით მეტ სარგებელს მიიღებს, ვიდრე რუსეთთან ახლო ურთიერთობით

გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? (q41)



ეთნიკური უმცირესობები დანარჩენი ქვეყნისგან განსხვავდებიან — უმეტესობამ არ იცის ამ ორ არჩევანს შორის რომელს მიანიჭებდა უპირატესობას; ამ დასახლების მეოთხედი კი რუსეთთან უკეთესი ურთიერთობის სანაცვლოდ ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებაზე უარს იტყოდა

გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? (q41 X დასახლების მიხედვით)



პარტიული სიმპათიების მიუხედავად, უმრავლესობას რუსეთთან დაახლოებას ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება ურჩევნია

ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? (q41 X რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს)



უმეტესობა მხარს უჭერს რუსეთთან არსებული ეკონომიკური ურთიერთობების შენარჩუნებას

რუსეთთან საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობაზე თუ ვისაუბრებთ, თქვენი აზრით ... (q42)



სხვებთან შედარებით, რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას უფრო მეტად უჭერენ მხარს: სოფლებისა და ეთნიკური უმცირესობების მცხოვრებლები, უფროსი ასაკის მოქალაქეები, კაცები და ქართული ოცნების მხარდამჭერები.

კვლევა დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის კარგი მმართველობის ფონდის მიერ.

NDI-CRRC კვლევები ხელმისაწვდომია:

- ➔ WWW.NDI.ORG/GEORGIA-POLLS
- ➔ WW.CAUCASUSBAROMETER.ORG